მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,
საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №1

ქ. მარტვილი 24 იანვარი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12^{00} სთ-ზე, დამთავრდა 15^{00} სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: კახაბერ ჯგერენაია, მინდია გაბისონია, ირაკლი დიხამინჯია, ჯამბულ ხუროძე, გოჩა ჯიქია, ნათია ქაჯაია, გიორგი ჯიჯელავა.

სხდომას თავმჯდომარეობდა, მარტვილის მუნიციპალიტეტის, საკრებულოს, სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ჯგერენაია.
მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ კახაბერ ჯგერენაიამ დღის წესრიგის პროექტი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. „მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მხსენებელი-კახაბერ ჯგერენაია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე./
2. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
/მხსენებელი-კახაბერ ჯგერენაია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე./
3. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 მაისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მხსენებელი-კახაბერ ჯგერენაია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე./
4. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №87 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი-კახაბერ ჯგერენაია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე./
კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.
1–ლი საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7–მა წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის ავმჯდომარის კახაბერ ჯგერენაიას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
მომხსენებელმა კომისიის წევრებს წარუდგინა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები დანართის სახით და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ჯამბულ ხუროძემ აღნიშნა, რომ ის ეთანხმება წარმოდგენილ ცვლილებას რათა მერიის სამსახურებმა უფრო ეფექტურად განახორციელონ მათზე დაკისრებული მოვალეობები, რასაც დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრებიც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი, „მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე 7. წინააღმდეგი 0.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
მე–2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7–მა წევრმა.

მოისმინეს2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის კახაბერ ჯგერენაიას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დადგენილების პროექტი და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულთან დაკავშირებით.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საწინააღმდეგო მოსაზრება კომისიის წევრებს არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე 7. წინააღმდეგი 0.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
მე–3 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7–მა წევრმა.

მოისმინეს3. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის კახაბერ ჯგერენაიას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 მაისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 მაისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და აღნიშნა რომ ცვლილების შესაბამისად მესაკუთრეს საშუალება ექნება დაარეგისტრიროს მის საკუთრებაში არსებული ობიექტის შიდა სასარგებლო ფართი და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მინდია გაბისონიამ აღნიშნა, რომ ის ეთანხმება წარმოდგენილ ცვლილებას რაც საშუალებას მისცემს მოსახლეობას თავიანთი უძრავი ქონების რეგისრაცია მოყვანილ იქნება სრულყოფაში, რასაც დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრებიც.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 მაისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე 7. წინააღმდეგი 0.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: . ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 მაისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მე–4 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7–მა წევრმა.

მოისმინეს4. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეის კახაბერ ჯგერენაიას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №87 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული განკარგულების პროექტი და დასძინა, რომ აღნიშნული ცვლილება განპირობებულია საკრებულოს მიერ მიღებულ ზემოთ აღნიშნულ გეგმაში მექანიკურ შეცდომებით და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ჯამბულ ხუროძემ აღნიშნა, რომ ის ეთანხმება წარმოდგენილ ცვლილებას რასაც დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრებიც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №87 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები;

მომხრე 7. წინააღმდეგი 0.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №87 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: კახაბერ ჯგერენაია